



ახალი პენათლება

10-16.09.2020

№25 (899) ბაზოლი 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ჩნ ჩაბნანსოჩი დანნანსა სოოაბს:

- ⇒ მოსწავლეებს შოხის 1-მეტოანო დოსტანციოს დაცვა;
- ⇒ შენობაში შემსველი ყველა პოხოხოვის პოხოდოს სავადებულო ტაეა, გახდა მოსწავლისა;
- ⇒ შენობაში ნებოსმოეო პოხო დეზობაოეოის გავლით, თეომოსეოინგისა და ხელის დეზინფეცი-
ეობის შემდეგ შესვლა;
- ⇒ სოოებში პოხოებებს ეეეეეის ახებობა;
- ⇒ სველი ნეეეეების სანოტაოეო დამუშავება, ყოველი დასვენების შემდეგ;
- ⇒ ცვლებს შოხის ნახვეახსათოანო შესვენება, საკლასო მოახებოსა და სოოის საეოთო საეებ-
ლობის ფაოეების სანოტაოეო დასუფოავება და განოავება;
- ⇒ სოცხონი და ეესპოოაოეო სიმპტომების მქონე მოსწავლეებისთვის დოეობოთი საოზოდაციო
მოახის გამოყოფა;
- ⇒ მოახების განოავება გაევეოილებს შოხის, დასვენებებზე;
- ⇒ სმიხად შესახებო ზედაპოეების სანოტაოეო დამუშავება;
- ⇒ სოოის საეოთო საეებლობის სოეეეებში (მათ შოხის, დეეეეანი, ეობის ეეეეეი, სამასწავლე-
ლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისა ყველა პოხს (გახდა მოსწავლეებისა) ენდა ეეეეოს პო-
ხოდო, მათ შოხის დასვენებების პეეეეში და სხვ.

15 სექტემბერს, მოსწავლეებთან შეთანხმებული ჩანოანდესოოების დანსოთ, სან-
ოვადოს ყვად სანახო სოოანო (ბათოონსა და ჟობადოთოს სოოაბის ბახდა) ან-
ლი სანსწავლო ნელი დანსეაბა. სოოაბის მონაბახოთო ბანაბანი ჩანოანდესოოების
დახლვავის ფანებოა, სანადნოეო ბეოსოეო ეეეეეეებს მოახდას, შესანდოა,
სანანნათოეელო დანნანბანბა დანეახოს.



ინტერვიუ აბტალა თაბაგაძე

არის თუ არა სისტემა მზად სასწავლო წლის დასაწყებად?

ახალი სასწავლო წელი სკოლებში განსხვავებულ რეჟიმსა და განსხვავებულ ფორმატში განახლდება – სკოლები, საჭიროებიდან გამომდინარე, თავად ირჩევენ სწავლების მოდელს. სწავლის დაწყების დღედ 15 სექტემბერი გამოცხადდა. ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებმა შეიმუშავეს რეგულაციები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა სასწავლო დაწესებულებისთვის და თუ რომელიმე სკოლა, წინასწარი შემოწმების შედეგად, ამ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, სწავლა 15 სექტემბერს არ განახლდება.



არის თუ არა სისტემა მზად საკმაოდ რთული სასწავლო წლის განსახლებად და რას უნდა ველოდეთ 2020-21 სასწავლო წლის განმავლობაში – ამ თემაზე გვესაუბრება ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსი მარიამ ჩიქოვაძე.

– როგორ ემზადებით ახალი სასწავლო წლის დასაწყებად და რა ძირითადი ცვლილებები უნდა ველოდეთ განახლებული სასწავლო წლიდან?

– მთელი ზაფხულის განმავლობაში სამინისტრო ემზადებოდა და კონსულტაციებს გადიოდა ჯანდაცვის სამინისტროსთან, რათა სასწავლო პროცესი რაც შეიძლება უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით დაიწყო და მოსწავლეები მაქსიმალურად იყვნენ დაცულნი. ამიტომ, ის სავალდებულო მინიმუმალური აღჭურვილობა, რაც სკოლებს შეიძლება დასჭირდეთ ამ ნორმების დასაცავად, ცხადია, შესყიდულია და ყველა სკოლას მიეწოდება სწავლის დასაწყებამდე, მაგალითად, თერმოსკრინინგისთვის შესაბამისი აპარატები, სადენიფიქციო ხსნარები, დეზინფექციანტი და სხვა. გათვალისწინებულია დიდ და მცირეკონტინგენტიანი სკოლების საჭიროებები. მივყავართ და ვითვალისწინებთ ჯანდაცვის რეკომენდაციებს და აქედან გამომდინარე, ვაძლევთ სკოლებს დამატებით კონკრეტულ მითითებებს. მაგალითად, მნიშვნელოვანია ერთმეტრიანი დისტანციის დაცვა. სკოლებმა ისე უნდა დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მცირე სივრცეში, ერთდროულად, ბევრი მოსწავლე არ იყოს. ამისთვის, მათ მეტი მოქნილობის საშუალება მიეცემა – სწავლის დაწყების დრო სკოლებს შეუძლიათ თვითონ აირჩიონ, მაგალითად, არა 9 საათზე, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ უფრო ადრე და შეუძლიათ, სასწავლო დღე სწავლების საფეხურების მიხედვით სხვადასხვანაირად დაგეგმონ; ასევე შეუძლიათ შეამცირონ სააკვეთილო დატვირთვა კონკრეტული საგნების მიხედვით, თუმცა აკვეთილი 30 წუთზე ნაკლები არ შეიძლება იყოს. ერთადერთი მკაცრი რეკომენდაციაა, სასწავლო პროცესი ისე დაარეგულირონ, რომ I-IV კლასების მოსწავლეებმა სრულად დაარსდნენ სკოლაში, მათთვის არც ერთი დღე არ იყოს ონლაინ სწავლება. მოგეხსენებათ, ამ ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია სოციალიზაცია, ურთიერთობების ჩამოყალიბება, განსაკუთრებით I-II კლასელებისთვის. სწორედ ამ ასაკში ეჩვენა და

– სასწავლო გეგმებში ხომ არ არის რაიმე ტიპის ცვლილება?

– ამ თვალსაზრისით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ძალიან მოქნილია, სავალდებულო მოთხოვნები საგნობრივი ცნებებისა და მსხვილი თემების/კონტექსტების დონეზეა გაშლილი და არა კონკრეტული საკითხების დონეზე. ამდენად, მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას, რომელი საკითხით გავიდეს შედეგებზე; მაგ. არ არის აუცილებელი სახელმძღვანელოში არსებული 50 ტექსტიდან 50-ვე გაიაროს, მთავარია, რა ტექსტსაც ვაივლის, ვაიზროს, სიღრმისეულად დაამუშაოს. ცხადია, საბაზო საფეხურზე ჩავდეთ ის სავალდებულო მინიმუმი, კლასიკა, რაც დროშიც გამოცდილია და ჩვენი ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის გარკვეული ღირებულება გააჩნია, მაგრამ დანარჩენს სახელმძღვანელოს ავტორები ამატებენ ან შეუძლიათ თავად პედაგოგებმა დაამატონ, თავიანთი გემოვნების მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მთავარ ორიენტირებს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ საგანში, რა უნდა შეეძლოს მას და რა ღირებულებები უნდა ჩამოეყალიბდეს, ხოლო სკოლამ თავად უნდა განსაზღვროს ის კონკრეტული გზა, რომლითაც მიიყვანს ამ მიზნებამდე.

ეს კი ხდება კომპლექსური დავალებების, კონკრეტული აქტივობებისა და რესურსების მეშვეობით. გრძელვადიანი მიზნებს განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა, წლიურ სასკოლო სასწავლო გეგმას კი უნდა ადგენდეს სკოლა. ამ მხრივ მათ სრული თავისუფლება აქვთ.

– არის თუ არა მზად სისტემა, საჭიროების შემთხვევაში, ისე გადავიდეს სრულად დისტანციურ სწავლებაზე?

– ამისთვის საჭიროა გამართული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა. იცით, რომ სამინისტრო იყენებს Microsoft-ის პლატფორმას, სადაც ყველა მოსწავლე და მასწავლებელი დარეგისტრირებულია და ყველას აქვს თავისი პერსონალური ანგარიში, ე.წ. ექაუნთი. სხვათა შორის, როგორც კი დაიწყო

ლურად ტექნიკის შეძენა მოსწავლეებისთვის. სკოლებს ეძლევათ რეკომენდაცია, თუ ნაწილობრივ დისტანციურ სწავლებაზე გადავლენ და რომელიმე მოსწავლეს ამ მხრივ პრობლემები შეექმნება, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი, რომ ჩართონ სასწავლო პროცესში. მაგალითად, ასეთ მოსწავლეს უფრო მეტად უნდა მიეცეს ადგილზე დასწრების ან სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა. იგივე ეხება მასწავლებელსაც, თუ მას არ აქვს სახლიდან ჩართვის შესაძლებლობა, მაშინ სკოლამ უნდა დაუთმოს სივრცე და ხელი შეუწყოს, რომ გაკვეთილი დისტანციურად ჩაატაროს. შეიძლება სახლშიც გაატანოს ლეპტოპი, რომელიც სკოლის საკუთრებაშია. ამ კუთხითაც, საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლებმა თვითონ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება.

– სამინისტრომ გააგრძელა ინფორმაცია, რომ სასწავლო წელი არ დაიწყება, თუ ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური ინსპექცია არ შეამოწმებს ყველა სკოლას და თუ სასწავლო დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, იმ სკოლაში, შეიძლება, სწავლა 15 სექტემბერს არ განახლდეს.

– დიახ, შესაძლებელია, რადგან სკოლებში დაცული უნდა იყოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. ეს ეხება, პირველ რიგში, საპირფარეოებს. ცხადია, მოსწავლეების ჯანმრთელობას რისკის ქვეშ ვერ დავაყენებთ. ამიტომ, უმჯობესია, ასეთ შემთხვევაში, სკოლები სრულად გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე. ძალიან დიდი იმედები მაქვს, რომ ეს ბევრ სკოლას არ დასჭირდება, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობებიც იყვნენ ჩართულები სველი წერტილების მონეტრინგების საკითხებში და მთელი ზაფხული მუშაობდნენ ამ მიმართულებით.

– ქალბატონო მარიამ, საინტერესოა რას გეგმავს სამინისტრო იმ ჩავარდნების აღმოსაფხვრელად, რომელიც რეალურად არსებობდა დისტანციური სწავლების პროცესში. გვეყვარებოდა მოსწავლეები, რომლებიც აღმოჩნდნენ დისტანციური სწავლების პროცესებს მიღმა. ხომ არ იგეგმება მათთვის მიზნობრივი აქტივობები და პროგრამები, რომელიც გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრის მასალის ათვისებაში დაეხმარება?

– ცენტრალიზებულად ასეთი პროგრამების განხორციელება არ იგეგმება, მაგრამ რესურსცენტრებთან შეხვედრებზე მუდმივად განვიხილავდით ამ საკითხს, რომ თვითონ სკოლებმა მოახდინონ ასეთი მოსწავლეების იდენტიფიცირება. მაგალითად, თუ სკოლას ჰყავდა გარკვეული რაოდენობის მოსწავლე, რომლებიც მხოლოდ ტელეგაკვეთილების ამარა იყვნენ დარჩენილი და ვერ ერთვებოდნენ ონლაინ გაკვეთილებში, საგნობრივმა პედაგოგებმა მათთან ინდივიდუალურად უნდა იმუშაონ, რომ დააწიონ პროგრამას. ეს მოსწავლეები იმავე სასტარტო პირობებში უნდა აღმოჩნდნენ, ახალ სასწავლო წელს, როგორც მათი თანაკლასელები. ცხადია, პირველ რიგში, სკოლის დონეზე, სწორედ ასეთ მოსწავლეებზე უნდა გაათმავდეს ყურადღება, ცენტრალიზებულად ამ პრობლემის გადაჭრა ეფექტურად ვერ მოხდება.

– გადავიდეთ სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესზე. როგორ წარიმართა წელს გრიფირების პროცესი და რა ხარვეზებმა იჩინა თავი?

– წელს, მოგეხსენებათ, სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი საკმაოდ გაზრდილი ბარიერით (გადასალახმა ბარიერმა 90%-მდე აიწია) წარიმართა. შეიძლება ითქვას, მოთხოვნები იყო გამკაცრებული. თუმცა, ავტორებს მეტი ხელშეწყობაც ჰქონდათ: გრიფირების პროცესის მეორე ეტაპზე, ბარიერგადალახული სახელმძღვანელოების ავტორები და შემფასებლები ხვდებოდნენ ერთმანეთს და დარჩენილ შენიშვნებს პირისპირ განიხილავდნენ, ერთიანად ვადაში გამოსასწავლებელი ნიუანსებზე თანხმდებოდნენ. ცხადია, ეს სახელმძღვანელოს კიდევ უფრო დახვეწას ემსახურებოდა. გარდა ამისა, გაორმაგდა ჰონორარების რაოდენობა, რაც დამატებითი სტიმულია სახელმძღვანელოების ავტორებისა და გამომცემლობებისთვის. საერთო ჯამში, შემიძლია გითხრა, რომ პროცესმა ნორმალურად ჩაიარა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ როგორც კი გადავიდა სახელმძღვანელოები შესაფასებლად, მაშინვე ჩაიკეტა ყველაფერი და პროცესები სრულად გადავიდა ონლაინ ფორმატში (სახელმძღვანელოების

- ✓ სკოლამ საჭიროებიდან, ადამიანური და ტექნიკური რესურსებიდან გამომდინარე, თვითონ უნდა გადაწყვიტოს რომელ მოდელს მოირჩევს და როგორ დააორგანიზებს სასწავლო პროცესს.
- ✓ მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას, რომელი საკითხით გავიდეს შედეგებზე; მაგ. არ არის აუცილებელი სახელმძღვანელოში არსებული 50 ტექსტიდან 50-ვე გაიაროს, მთავარია, რა ტექსტსაც ვაივლის, ვაიზროს, სიღრმისეულად დაამუშაოს.

სწავლობს ბავშვი თანატოლებთან ურთიერთობებს, თანაკლასელებთან შედის კონტაქტში, ზოგადად, სასწავლო პროცესის ორგანიზებას ერგება.

რაც შეეხება ზედა კლასებს, თუ სკოლას არ აქვს შესაბამისი ფართი, შეუძლია ერთი ან ორი დღე დისტანციურ სწავლებაზე გადავიდეს, ანუ ჰიბრიდული მოდელი აირჩიოს. მაგალითად, მეშვიდე კლასი კვირაში ერთი დღე, პირობითად, ოთხშაბათი, სკოლამ შეიძლება მთლიანად დისტანციურ რეჟიმზე გადაიყვანოს და ა.შ. საშუალო საფეხურზე კიდევ უფრო მეტად შეიძლება შერეულ მოდელზე ფიქრი, შესაძლოა კვირაში ორი დღეც დაიგეგმოს დისტანციურად. ან სკოლამ ონლაინ სწავლება შეიძლება დაგეგმოს საგნების მიხედვით, მაგ. კვირეული 5 საათიდან ერთი ან ორი საათი ჩაატაროს დისტანციურად, შეიძლება შაბათი დღეც გამოიყენოს მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრისთვის. სკოლამ საჭიროებიდან, ადამიანური და ტექნიკური რესურსებიდან გამომდინარე, თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რომელ მოდელს მოირჩევს და როგორ დააორგანიზებს სასწავლო პროცესს.

მეტი დაკავალანებისთვის შევიმუშავეთ დისტანციური სწავლების წესი, რომელიც მზადაა დასამტკიცებლად. რეკომენდაციები, რომელიც ამ წესში შევიდა, რესურსცენტრებთან ყოველკვირეული ონლაინ შეხვედრების დროს დამუშავდა. მათი მოსაზრებები გავითვალისწინებთ, რადგან უშუალო კავშირში არიან სკოლებთან და იციან კონკრეტული რეგიონის სპეციფიკა. დამტკიცებული წესი სკოლებს დაეგზავნება, თუმცა ისინი უკვე მუშაობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და, პრინციპში, ყველა სკოლას მზად აქვს საკუთარი გეგმა.

პანდემია და დაიხურა სკოლები, მაშინვე დაიწყეს მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ამ ექაუნთების გააქტიურება. სამინისტროს ეს ინფრასტრუქტურა უკვე ჰქონდა, უბრალოდ სკოლები არ იყენებდნენ, რადგან ნაკლებად ინტერესდებოდნენ ელექტრონული პლატფორმებით. ახლა ყველა სკოლამ, მასწავლებელმა და მოსწავლემ იცის, საჭიროების შემთხვევაში როგორ გადავიდეს ონლაინ სწავლებაზე. სხვა საკითხია, რამდენად აქვს ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობა, რომ ჩაერთოს პროცესში. ყველა რესურსცენტრს ჰქონდა დავალებული იმ მოსწავლეების იდენტიფიცირება, ვისაც არ აქვს ტექნიკური მოწყობილობა ან ინტერნეტის შესაძლებლობა იმისთვის, რომ მოხდეს ინდივიდუალურად პრობლემის გადაჭრა და მოსწავლეები არ დარჩნენ პროცესებს მიღმა. ასეთ შემთხვევებისთვის კვლავ იქნება ტელესკოლა. თუმცა სატელევიზიო გაკვეთილები გაცილებით დახვეწილ ფორმატში გავრცელდება. მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა გაკვეთილების ჩანერა და სექტემბრისთვის განახლებულ გაკვეთილებს შევთავაზებთ და ესეც დაეხმარება არა მხოლოდ მათ, ვისაც არა აქვს წვდომა ონლაინ საშუალებებზე, არამედ ზოგადად მოსწავლეებს და პედაგოგებს.

– რას გეგმავთ იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც არ აქვს დივიი-სები დისტანციურ სწავლებაში ჩასართავად? რას სთავაზობთ მათ? ხომ არ აპირებს სამინისტრო ამ კუთხით მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას?

– ძალიან რთულია, თვითონ სამინისტრომ დაიწყოს პერსონა-

ქალიან დიდი გამოწვევა იყო მასშტაბური თავყრილობის ისე დაბეგვრა, რომ გამოცდები ვირუსის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორი არ გამხდარიყო

ინტერვიუ შეფასებისა და გამოცდების პროფესიული ცენტრის დირექტორთან, სოფიო გორბოკოსთან



– წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები განსხვავებულ, ურეგულ ფორმატში ჩატარდა. საგამოცდო პროცესმა ბევრი ცვლილება განიცადა, რა აღმოჩნდა ყველაზე რთული ახალ ფორმატზე გადასვლისას?

– წელს, როგორც იცით, აბიტურიენტების უმრავლესობა, ოთხის ნაცვლად, სამ გამოცდას აბარებდა და, ამის გარდა, პანდემიის გამო, შეცვლილი რეგულაციებით უნდა მოგვეხდინა საგამოცდო პროცესის ადმინისტრირება. ეს სიახლე, მართლაც რომ, სასიკეთო აღმოჩნდა იქედან გამომდინარე, რომ აბიტურიენტებს, ოთხის ნაცვლად, სამჯერ უწევდათ გამოცდაზე მოსვლა, სახელოვნებო და სასპორტო მიმართულების აბიტურიენტებს კი – მხოლოდ ორჯერ. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, წინა წელს მოიხსნა სკოლის დამამთავრებელი გამოცდები, რამაც, გარკვეულწილად, შეამსუბუქა პანდემიით განპირობებული გამოწვევები, ვინაიდან ორთვიან პერიოდში 8 გამოცდის ადმინისტრირება და შემდგომ 4 დამატებითი გამოცდის უსაფრთხოდ ჩატარება, მართლაც რომ, მნიშვნელოვანი პრობლემა იქნებოდა. სიახლე იყო ასევე ისიც, რომ ტექნიკურ მიმართულებებზე მათემატიკის ჩაბარება გახდა სავალდებულო, შესაბამისად, მსგავს მიმართულებებზე აბიტურიენტების შერჩევა უფრო მეტად მოერგო ტექნიკური პროგრამების მოთხოვნებს. სამედიცინო მი-

რაც ასევე განსაკუთრებული ზომების მიღებას მოითხოვდა. საბედნიეროდ, ყველა მათგანმა მოახერხა გამოცდებში მონაწილეობის მიღება და შეიძლება ითქვას, რომ კოვიდინფექციის გამო აბიტურიენტი საგამოცდო პროცესს მიღმა არ დარჩენილა.

– რომელ საგანში იყო ყველაზე კარგი შედეგები და რომელ საგანში – ყველაზე ცუდი?

– ე.წ. „ჩაჭრის“ შედარებით მაღალი მაჩვენებელი ფიზიკასა და გეოგრაფიაში გვექონდა, ასევე, ქიმიის მიმართულებითაც. შეიძლება ითქვას, რომ სავალდებულო საგნებში არ გვექონია „ჩაჭრის“ განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი. უმეტესობამ შეძლო ზღვრის გადალახვა ქართულში, ისტორიასა და უცხოურ ენებში.

– წელს 500 იმგვარი აბიტურიენტი დარჩა უმაღლესი მიღმა, რომლებმაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა სავალდებულო საგანში, მაგრამ ვერ ჩაირიცხნენ. როგორც თქვენ განაცხადებთ, მეორადი ჩარიცხვები არ იგეგმება, თუმცა ეს აპლიკანტები გარკვეულ შედეგებზე მაინც ითხოვენ იმ რთული სასწავლო წლის გამო, რომელიც პანდემიამ განაპირობა. რას ეტყობით მათ?

ზოგადი უნარების არასავალდებულო ნუსხაში გადატანამ გზა გაუხსნა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, რომელთა ნაწილი ვერ აბრძოლებდა სწავლას სწორედ ზოგად უნარებში დაბალი მოსწრების გამო, იმის მიუხედავად, რომ მაქსიმალურ ქულებს იღებდა შემოქმედებით ტურში.

მართლებით ბიოლოგია გახდა სავალდებულო საგანი, რაც ჯანდაცვის სპეციალისტების მოთხოვნით მოხდა და იმედი გვაქვს, ამ მიმართულებით უკეთ შეირჩა აბიტურიენტები ჯანდაცვის პროგრამებზე. ზოგადი უნარების არასავალდებულო ნუსხაში გადატანამ გზა გაუხსნა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, რომელთა ნაწილი ვერ აბრძოლებდა სწავლას სწორედ ზოგად უნარებში დაბალი მოსწრების გამო, იმის მიუხედავად, რომ მაქსიმალურ ქულებს იღებდა შემოქმედებით ტურში.

რაც შეეხება გამოცდის ადმინისტრირებას, მართლაც ძალიან დიდი გამოწვევა აღმოჩნდა პანდემიის პირობებში ყველაზე მასშტაბური თავყრილობა ისე დაგვეგეგმა, რომ გამოცდები ვირუსის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორი არ გამხდარიყო. აქტიურად და საკმაოდ ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან. შეიქმნა შტაბი, მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს (მაგალითად: დაცვის პოლიცია, ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ენერჯოპრო ჯორჯია, ინტერნეტპროვოიდერები, სახანძრო სამსახური და ა.შ.) და იყო მსჯელობა ყველა მიმართულებით, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ჯანდაცვის უწყებებთან თანამშრომლობა გახლდათ. ბევრი განსხვავებული ვერსია არსებობდა, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო გამოცდები და საბოლოო ვერსია მაინც ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე განისაზღვრა.

გამოცდების ადმინისტრირებისას მთელი რიგი განსხვავებული ზომების მიღება გახდა საჭირო, კერძოდ, დისტანციის დაცვა რეგისტრაციისას და საგამოცდო სივრცეში, რამაც გაზარდა საგამოცდო სესიების რაოდენობა და საგამოცდო დღეების ხანგრძლივობა. მერხების წინ გამჭვირვალე ფარების დაყენებამ შესაძლებელი გახდა, უშუალოდ მუშაობის პროცესში, აბიტურიენტებისათვის პირბადის ჩამონევის უფლების მიცემა. აუცილებელი გახდა თერმოსკრინინგი და სიცხიანი აბიტურიენტებისათვის ცალკე სივრცეების გამოყოფა. სხვადასხვა ტემპერატურის შემთხვევაში, ჯანდაცვის სამინისტროში ტრენინგავალი ექიმები იღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ სად განთავსებულიყო აბიტურიენტი. გარდა ამისა, გვეყავდა ორი კოვიდინფიცირებული აბიტურიენტი და აბიტურიენტები კარანტინიდან,

– სამწუხაროდ, წინა წლებშიც იყო ასეთი შემთხვევები. აბიტურიენტების ნაწილი არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას პროგრამების შერჩევას, ფიქრობენ, რომ მთავარია ბარიერი გადალახონ და ავტომატურად ჩაირიცხებიან. იმ პირობებში, როცა მათ აქვთ შესაძლებლობა, შეარჩიონ განუსაზღვრელი რაოდენობის საგანმანათლებლო პროგრამა და როცა უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ადგილების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე აბიტურიენტებისა, წარმოუდგენელია უმაღლესი სასწავლებლის მიღმა დარჩე, თუ პროგრამების ჩამონათვალს გააზრებულად გააკეთებ. ამისათვის აბიტურიენტებს რამდენიმე თვე ჰქონდათ.

ზოგიერთი აბიტურიენტი განგებ ირჩევს ორ-სამ პროგრამას, რადგან მიაჩნია, რომ სხვაგან სწავლა არ უნდა. ჩვენ

ცენტრის დირექტორი, კმაყოფილი ხართ თუ არა წლებიდან-წელი გამოცდებით? სისტემამ გამართულად იმუშავა? რა ხარვეზები შენიშნეთ?

– ვფიქრობ, ეროვნულმა გამოცდებმა წარმატებით ჩაიარა, ალბათ უფრო უკეთესად, ვიდრე ამის მოლოდინი გვექონდა იმ გამოწვევებიდან გამომდინარე, რომელთა წინაშეც წელს აღმოვჩნდით. ეს ყველაფერი, ცხადია, შესაძლებელი გახდა არაერთი ადამიანის თავდაუზოგავი შრომის ფასად და თითოეული თანამშრომლის მაღალი პასუხისმგებლობა და თვითშეგნება იყო იმის გარანტი, რომ ჩვენ ამ პროცესის წარმატებით დასრულება შეეძლებოდა. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით პროცესში ჩართულ თითოეულ ადამიანს.

ვფიქრობ, სისტემამ გამართულად იმუშავა, თუმცა ცხადია, შეუძლებელია ამ მასშტაბის პროცესი ისე წარმართოს, რომ პრობლემები არ იყოს, გვექონდა უმნიშვნელო ხარვეზებიც, რომელთა აღმოფხვრაზეც შემდეგ წელს აუცილებლად ვიმუშავებთ.

– ახალი სასწავლო წლისათვის თუ იგეგმება ცვლილებები და თუ არსებობს უკვე ამ ცვლილებების გარკვეული მონახაზი, ძირითადი მიმართულებები?

– ვინაიდან კოვიდ ინფექციასთან დაკავშირებული ზომების გამო გამოცდები დროში გახანგრძლივდა, ამ ეტაპზე, ზაფხულის საგამოცდო ციკლი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის. რამდენიმე დღის წინ ჩატარდა პროფესიული ტესტირება და ახლა მუშავდება შედეგები. მიმდინარეობს მაგისტრობის მსურველთა სააპელაციო პროცესი, ასევე ცენტრი მუშაობს საგრანტო კონკურსის მონაწილეების რაწიერების დოკუმენტზე. შესაბამისად, ამ ეტაპზე, საკმაოდ ბევრი მიმდინარე სამუშაოა დასასრულებელი და რაიმე ძირითადი ცვლილებების შესახებ საუბარი არ არის. თუმცა, ცხადია, წინა წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ყოველწელსაა შესაძლებელი მცირე კორექტივები შევიდეს სისტემაში – იმედა, გვექნება ამის შესაძლებლობა.

– როგორია ცენტრის სამომავლო გეგმები?

– ამ ეტაპზე, ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელზეც ვმუშაობთ, არის ელექტრონული სასკოლო შეფასებები, თუმცა ცოტა შეფერხებით იმის გამო, რომ პანდემიიდან გამომდინარე, გადაინია საპილოტე სამუშაოებმა. მეორე მხრივ, ვფიქრობ, ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს ადრედაწვევით შეეძლოს მონაწილეობა მოსწავლეთა მოსწრებაზე, რაც მათ საშუალებას მისცემთ, იზრუნონ განვითარებაზე (სწორედ ამიტომ ჰქვია პროექტს „შეფასება განვითარებისთვის“).

ზოგიერთი აბიტურიენტი განგებ ირჩევს ორ-სამ პროგრამას, რადგან მიაჩნია, რომ სხვაგან სწავლა არ უნდა. ჩვენ ყოველთვის ვურჩევთ მათ, რომ აირჩიონ მათი პროგრამა და თუ სურვილი არ ექნებათ, ჩარიცხვის შემდეგ აღარ გააგრძელონ სწავლა. ამ ინფორმაციას ასევე ვავრცელებდით ღია კარის დღეებზეც. ეს შეხვედრები რამდენიმე თვე მიმდინარეობდა, ასევე ყოველდღიურად შეეძლოთ გამოეზავნათ კითხვები ფეისბუქგვერდის საშუალებითაც, ჩვენ ვავაგრცელებთ რეკომენდაციებიც, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება პროგრამების არჩევისას, მაქსიმალურად მოტივირებული ვართ, დავეხმაროთ აბიტურიენტებს, რომ სასურველი შედეგები მიიღონ. სამომავლოდ ვურჩევ, რომ ითანამშრომლონ ჩვენთან, დაესწრონ ღია კარის დღეებს და დავეხმარებით რჩევებითა და კონსულტაციებით.

ყოველთვის ვურჩევთ მათ, რომ აირჩიონ მეტი პროგრამა და თუ სურვილი არ ექნებათ, ჩარიცხვის შემდეგ აღარ გააგრძელონ სწავლა. ამ ინფორმაციას ასევე ვავრცელებდით ღია კარის დღეებზეც. ეს შეხვედრები რამდენიმე თვე მიმდინარეობდა, ასევე ყოველდღიურად შეეძლოთ გამოეზავნათ კითხვები ფეისბუქგვერდის საშუალებითაც, ჩვენ ვავაგრცელებთ რეკომენდაციებიც, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება პროგრამების არჩევისას, მაქსიმალურად მოტივირებული ვართ, დავეხმაროთ აბიტურიენტებს, რომ სასურველი შედეგები მიიღონ. სამომავლოდ ვურჩევ, რომ ითანამშრომლონ ჩვენთან, დაესწრონ ღია კარის დღეებს და დავეხმარებით რჩევებითა და კონსულტაციებით.

ვის“). პროექტი მნიშვნელოვანია სრულად ელექტრონული ტესტირების დასაწერად, რასაც მომავალში სხვა მიმართულებითაც გამოვიყენებთ. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, ვატარებთ საგანმანათლებლო კვლევებს – ამ ეტაპზე იმგვარი მექანიზმის შექმნა გვევალება, რომელიც, ამ შედეგებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიმღებთ იმის შესაძლებლობას შეუქმნის, რომ უკეთ დაგვემონ საგანმანათლებლო პოლიტიკა. ვფიქრობ, ეს ძალიან სასარგებლო იქნება და პოლიტიკის დამგეგმავებს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას მისცემს. ერთ-ერთი სიახლე ასევე ისიც გახლავთ, რომ დაიგეგმა და შემოდგომაზე პირველად ჩატარდება სპეციალური მასწავლებლის ტესტირება.


– როგორ შეაფასებთ ეროვნულ გამოცდებს 2020? როგორც

ესაუბრა ლალი თვალაბაიშვილი

ინფორმაცია

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2020

- ✓ 2020 წელს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სწავლას 29 614 აბიტურიენტი გააგრძელეს.
- ✓ სახელმწიფო ბრანტი 6550-მდე გამოსაცდელმა მოიპოვა.
- ✓ 100%-იანი დაფინანსება 1000-ზე მეტმა აბიტურიენტმა მიიღო, 70%-იანი დაფინანსება – 1500-მდე, 50%-იანი ბრანტი კი – 4000-ზე მეტმა.
- ✓ შარშან სტუდენტი გახდა რეპისტირირებულ აბიტურიენტთა 71%, წელს კი – 75%.
- ✓ წელს იმ აბიტურიენტთა რაოდენობა, რომლებმაც მინიმალური კომპეტენციის წლგარი გადალახეს ყველა სავალდებულო საბანო, თუმცა მერ ჩაირიცხნენ, 500-მდეა.



150 000 ან ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსების წესი განისაზღვრა

პრემიერ-მინისტრის ახალი ინიციატივის ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსების წესი განისაზღვრა (დადგენილება 536). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა და მათთან პროგრამის ადმინისტრირების დეტალები განიხილა. მინისტრის მოადგილემ უნივერსიტეტების წარმომადგენლებს მოუწოდა, უზრუნველყონ 150 000 ან ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველი სტუდენტების ინფორმირება პროგრამის შესახებ, რათა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდ-

გომის სემესტრში ისინი შეუფერხებლად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. სოციალური დახმარებით ისარგებლებენ უმაღლესი განათლების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო, ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და რომელთა სარეიტინგო ქულა 2020 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით ტოლია ან ნაკლებია 150 000 ქულაზე. პროგრამა გულისხმობს:

- ✓ 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის ანაზღაურებას;
 - ✓ 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დავალანების დაფარვას.
- შეჩერებული სტატუსის აღსადგენად და პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებმა უნდა მიმართონ შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის ანაზღაურების ოდენობა შეადგენს ერთი სემესტრის სწავლის მაქსიმალურ ღირებულებას – 1125 ლარს, სახელმწიფოს მიერ გაცემული სასწავლო გრანტის ოდენობის შესაბამისად.

ბათუმსა და ქობულეთში, მოსწავლეები კლასში და სტუდენტები აუდიტორიაში, სწავლას პირველი ოქტომბრიდან გააგრძელებენ



პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას განცხადებით, ბათუმსა და ქობულეთში, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში 2020 წლის პირველ ოქტომბერს განახლდება, მანამდე მოსწავლეებს გაკვეთილები დისტანციურად ჩაუტარდება. „მთავარია ის, რომ ეპიდემიის მართვის პროცესი სრულად ექვემდებარება კონტროლს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლო წელი გამოიწვევს მობილობის კიდევ უფრო გაზრდას, ჩვენ გარკვეული გადაწყვეტილებები მივიღეთ, ორი კვირით, პირველ ოქტომბრამდე, ბათუმსა და ქობულეთში სასწავლო პროცესი გადაიდება, იქნება დისტანციურად, პირველი ორი კვირის განმავლობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ქობულეთსა და ბათუმში მოსწავლეები კლასში და სტუდენტები აუდიტორიაში, სწავლას გააგრძელებენ პირველი ოქტომბრიდან, მანამდე გააგრძელებენ სწავლას დისტანციურად,“ – განაცხადა პრემიერმა.

2020 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები

განათლების კოალიციის ინიციატივით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან პატრნორობით მიმდინარე მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსის ფარგლებში 5 ფინალისტი დასახელდა, რომელთაგან ერთ-ერთი, 5 ოქტომბერს, მასწავლებლის მსოფლიო დღეს, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდება. ვარდა ამისა, ფულადი პრიზის სახით, კამპანიის გენერალური სპონსორისგან – „გუდავადე-პატარაკაცივილის“ ფონდისგან მას 10 000 ლარი გადაეცემა. 2020 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები 2019 წლის მასწავლებლის გლობალური ჯილდოს გამარჯვებულმა, პიტერ ტაბიჩიმ დაასახელა, ესენი არიან:

- ⇒ სოფიო გოგობია – აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- ⇒ მარინე ვართუმაშვილი – ქალაქ გორის №12 საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი;
- ⇒ ანა კინწურაშვილი – თბილისის კერძო სკოლა ქორალის მათემატიკის მასწავლებელი;
- ⇒ თეონა შერაზადიშვილი – ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის და სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- ⇒ ელზა ხარშილაძე – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო განათლების კოალიციის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა. აღნიშნული ინიციატივა საქართველოში უკვე მეოთხედ ხორციელდება და ის მასწავლებელთა პოპულარიზაციისკენ მიმართული გლობალური კამპანიის

– „The Global Teacher Prize“ – ნაწილია. კონკურსის გენერალური სპონსორია „გუდავადე-პატარაკაცივილის“ ფონდი, მხარდამჭერები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), ლიბერთი ბანკი, ტელეკომპანია იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და მარკეტინგული კომპანია 4MEDIA.



შედეგები და სკოლა

ტიკას ან სხვა საგანს. ამიტომ სახლებში ჩაკეტვა, პრობლემისგან გაქცევა ყველაზე ცუდი გამოსავალია. ამ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სკოლაში რისკები გაჩნდება. ვფიქრობ, მშობლებმა შვილები უნდა გაუშვან სკოლაში, მაგრამ უნდა მოვითხოვოთ, რომ სკოლამ უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება – სრულად დაცვას წესრიგი და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები, რაც ითვალისწინებს, მაგალითად, ყოველი დასვენების შემდეგ, შენობის დასუფთავება/დეზინფექციას, არა მხოლოდ იატაკების, არამედ საპირფარეოებში უნიტაზების ზედაპირების, ჩამრეცხების და სახელურების, ასევე, ხშირად მოხმარებადი საგნების დამუშავებას სადეზინფექციო ხსნარებით, ასევე კიბის მოაჯირების, თაროების, მაგიდების და ა.შ. და ამაში ჩართული უნდა იყოს სკოლის დასუფთავების სამსახური (90%) და დანარჩენი (10%) შეიძლება გადაინაწილდეს მასწავლებლებზე და მოსწავლეებზე იმდენად, რომ ეს ის საკითხია, რომელსაც თითოეული ჩვენგანი თუ ათიანზე არ შევასრულებთ, შეიძლება შეცდომა ძალიან ძვირად დაგვიჯდეს. მომხრე ვარ, სკოლები გაიხს-

ნას, მაგრამ შესაძლო ხიფათების აღმოფხვრა სახელმწიფოს მკაცრად უნდა მოვითხოვოთ.

– დაბოლოს, ორი სიტყვით მითხარით, როგორი განათლების სისტემა დაინახეთ პანდემიის პერიოდში?

– თებერვლის ბოლოს, როდესაც სკოლები დაიკეტა და მართის შუა რიცხვებიდან, არდადეგების შემდეგ, დაიწყო ონლაინ სწავლება, ეს პირდაპირი ნიშანი იყო იმისა, რომ სკოლა, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობით, უდიდესი გამოწვევების წინაშე იდგა. ნომერ პირველი პრობლემა, რაც გამჭვირვალობამ დაგვანახა, ეს იყო. რეალურად, სახელმწიფომ აღიარა, რომ მთელ რიგ სკოლებში ხელის დაბანის შესაძლებლობა არ იყო (საუბარი არ იყო საპონზე, არამედ მხოლოდ წყალზე). სახელმწიფომ აღიარა, რომ სკოლებს რეალურად იმის გამო ვკეტავთ, რომ ვერ ვიბანთ ხელებს. ამის შემდეგ გაჩნდა სხვა პრობლემები და გამოწვევებიც. დაინახეთ, რომ მშობელთა ჩართულობა იმაზე ბევრად აუცილებელი ყოფილა, ვიდრე ვინმეს ეს სისტემის შიგნით წარმოედგინა, ცალკეული გამონაკლისი ადამიანების გარდა, რომლე-

ბიც ყველგან არიან. დაინახეთ, რომ საქართველოში ზოგადი განათლება მოკლებულია თანაგანცდას – საზოგადოებას, მასწავლებლებს და მშობლებს (მათ დიდ ნაწილს) ჰგონია, რომ განათლება მხოლოდ და მხოლოდ საგნობრივი კომპეტენციების გადაცემაა მასწავლებლიდან მოსწავლეზე და განათლების როლი რომ უფრო დიდია, ეს არ ვიცით. განათლება მოქალაქის აღზრდა და საგნობრივი კომპეტენციების გადაცემა მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ ამის გავლით მივიღოთ სასურველ შედეგამდე. ეს ორიენტირი გვაქვს დაკარგული. აღმოჩნდა, რომ ბევრმა არ იცის რისთვის არსებობს სკოლა, ბევრს კი არც ახსოვს (შესაძლოა, არც იცის), რომ არსებობს ასეთი დოკუმენტი – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, სადაც წერია, რა ფუნქცია აქვს სკოლას და სადაც ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრულია, რომ სკოლა არის სწორედ სოციალიზაცია. ამიტომ ვემხრობი ჩვენ სკოლების გახსნას, თუმცა კი, ვიპირებთ ყველა იმ რისკს, რაც ამ პროცესს ახლავს.

ესაუბრა ლალი ჯილაძე

ინფორმაცია

ელექტრონული ჟურნალის წარმოება სავალდებულო ხდება

„საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №114/5 ბრძანებაში ცვლილება შევიდა, რომლის თანახმადაც, 2020-2021 სასწავლო წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან, დაიწყოთ ელექტრონული ჟურნალის წარმოება. ამავე ბრძანების მიხედვით ირკვევა, რომ მომავალ სასწავლო წელს სასკოლო ჟურნალს სრულად ჩაანაცვლებს ელექტრონული ჟურნალი: „2021-2022 სასწავლო წლიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ელექტრონული ჟურნალის წარმოება გახდება სავალდებულო და გაუქმებულ იქნეს ჟურნალების წარმოება“. დოკუმენტის თანახმად, ყველა საჯარო სკოლამ უნდა

ანარმოს ელექტრონული ჟურნალი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი პლატფორმით. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ან კერძო სკოლის ყველა მასწავლებლებს არ აქვს შესაბამისი პირობები (კომპიუტერული მოწყობილობა/ინტერნეტი), სკოლა ყოველდღიურად აგრძელებს ჟურნალის წარმოებას და ყოველი კვირის ბოლოს მასწავლებლები შეიტანენ დასწრებისა და შეფასებების შესახებ ინფორმაციას ელექტრონული ჟურნალის პლატფორმაზე, რისთვისაც უნდა გამოიყენონ საჯარო/კერძო სკოლის რესურსი (კომპიუტერული მოწყობილობა/ინტერნეტი). მიმდინარე სასწავლო წელს, სასკოლო ჟურნალსა და ელექტრონულ ჟურნალში არსებული მონაცემების შესაბამისობის შემთხვევაში, უპირატესობა სასკოლო ჟურნალში არსებულ ინფორმაციას მიენიჭება.



სექტემბრიდან 100 სკოლაში დისტანციური სწავლების ხელშეწყობის ესტონური მოდელი დაინერგება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ეკატერინე დგებუაძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორთან ბერიკა შუკაკიძესთან ერთად, ესტონეთის ელჩ რიინა კალიურანდასა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელ ლასან ხალილს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა იუნესკოს, ესტონეთისა და საქართველოს პარტნიორობის გაფართოებაზე იმსჯელეს და ზოგადი განათლების მიმართულებით დაგეგმილი დისტანციური სწავლების ხელშეწყობის ერთობლივი პროექტი განიხილეს. პროექტი, საქართველოს მასშტაბით, 100 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდება და მიზნად ისახავს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკის – ესტონური გამოცდილების გაზიარების მეშვეობით მოსწავლეების განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და სავანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლების ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში, საქართველოს სავანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლები, მათ შორის, სამინისტროსა და სკოლების ადმინისტრაციები გაეცნობიან ესტონურ მოდელს, კერძოდ, დისტანციური სწავლების დანერგვის პრაქტიკასა და ამ კუთხით შემუშავებულ კონცეფციებს, დაწყებითი განათლების მასწავლებლებს საშუალება ექნებათ, გაიარონ მომზადება კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლა-

სწავლების მეთოდოლოგიაში, ხოლო სკოლების ადმინისტრაციებისა და სავანმანათლებლო რესურსცენტრების წამომადგენლები კი მოსწავლეებზე ორიენტირებული სავანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისა და სკოლის მენეჯმენტის მიმართულებით გადამზადდებიან. ამასთან, შეიქმნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭიროების კვლევისა და უზრუნველყოფის მოდელი, პროექტში ჩართული სკოლების წარმომადგენლები სხვადასხვა პლატფორმების შექმნასა და მართვაში გაივლიან მომზადებას, რაც მათ თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაში დაეხმარება. შერჩეული სკოლების მასწავლებლებსა და ადმინისტრატორებს მიეცემა შესაძლებლობა, ესტონური გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად, ესტონეთს ეწვიონ და სასწავლო ტურში მიიღონ მონაწილეობა. შეხვედრის ბოლოს ეკატერინე დგებუაძე მაძლობა გადაუხადა ესტონეთის ელჩსა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს მხარდაჭერისთვის, ეფექტური თანამშრომლობისთვისა და ზოგადი განათლების მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ერთობლივი პროექტებისთვის. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ესტონეთის წარმატებული გამოცდილების გაზიარება ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია განსაკუთრებით „ახალი სკოლის მოდელის“ განვითარების მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავს სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას

და ორიენტირებულია კლასში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვაზე. დისტანციური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა 2020 წლის სექტემბერში დაიწყო და 2 წლის განმავლობაში გაგრძელდება. პროექტი ესტონეთის მთავრობის მიერ სრულად ფინანსდება. ესტონეთის მთავრობას, საქართველოს მთავრობასა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის 2014 წელს დაწყებული პარტნიორობა მიზნად ისახავს ქართველი მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ბავშვებისთვის განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. 2014-2016 წლებში განხორციელებული პარტნიორობის ფარგლებში, გადაიხედა I-IX კლასების ეროვნული სასწავლო გეგმა. 2017-2019 წლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შერჩეული 20 საბილიტე სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს მომზადება და სწავლების ინოვაციურ მიდგომებს გაეცნენ. პარტნიორობის ფარგლებში, ასევე, მოეწყო სასწავლო ტური ესტონეთში, სადაც საქართველოს შერჩეული სკოლების დირექტორები და მასწავლებლები ადგილზე გაეცნენ ესტონეთის განათლების სისტემის პოლიტიკასა და მიდგომებს სასწავლო გეგმასთან, მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. პროექტში ჩართული იყვნენ ესტონეთის უნივერსიტეტების სასწავლო გეგმის ექსპერტები და მეცნიერები.

ყველა სკოლა ვალდებული იქნება, უზრუნველყოს საბედისწილო კუნძულების ფუნქციონირება

სკოლა ვალდებული იქნება, სკოლის ტერიტორიაზე, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის, შექმნას სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობები. კანონში შესატანი ცვლილების ინიცირება განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე განხორციელდა. კომიტეტის თავმჯდომარის, გენადი მარგველაშვილის განცხადებით, კანონის 26-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატება ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი დაამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამედიცინო პერსონალის სტანდარტს. „კოვიდ-19-მა დაგვანახა, რომ ეს აქტუალური საკითხია და სწორად, კომპლექსურად უნდა იყოს გადაჭრილი. აღსანიშნავია, რომ სამინისტროში უკვე მიმდინარეობს სამედიცინო პერსონალის სტანდარტის შემუშავების პროცესი“, – განაცხადა

გენადი მარგველაშვილი. ცვლილება შედის მოქმედი კანონის 26-ე მუხლში, როლის მიხედვითაც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, დაამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირების წესს. „კანონპროექტით, 2023 წლის 1 იანვრამდე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უნდა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უზრუნველყოს სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირება“, – აღნიშნა გენადი მარგველაშვილი. დებუტატებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტს. კომიტეტის გადაწყვეტილებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებებს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს.



მსოფლიოს განათლების კვირეული

საჩხერის მეორე საჯარო სკოლა საუკეთესო პრაქტიკას საერთაშორისო აუდიტორიას გაუზიარებს

ლალი ჯალაძე

„ჩვენ მსოფლიოს ვაჩვენებთ 100 სკოლის გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს განათლების მაღალი ხარისხის დამკვიდრებას“ – ეს არის მთავარი გზავნილი „მსოფლიოს განათლების კვირეულის“, რომელიც 2020 წლის 5-9 ოქტომბერს გაიმართება.

„T4 – მსოფლიოს განათლების კვირეული“ და მისი ხელმძღვანელი ვიკას პოტა, მსოფლიოში აღიარებული განათლების ლიდერი, ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა განათლების სფეროში, ნელს ჰირველად, მოუყვრის თავს ღონისძიებაზე წინასწარ შერჩეულ 100 სკოლას, მსოფლიო მასშტაბით, რომლებიც მთავარ აქცენტებას მდგრადი განვითარების მ-4 მიზანზე – „საჩხერის განათლებაზე“ გააკეთებენ. მონაწილე სკოლებს შესაძლებლობა ექნებათ, კვირეულის ფარგლებში, ონლაინ სივრცეში საკუთარი გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა საერთაშორისო აუდიტორიას გაუზიარონ. ასევე, საჩხერის №2 საჯარო სკოლა, რომელიც ონლაინ სივრცეში პრაქტიკისთვის 8 ოქტომბერს, 16:00 სთ-ზე გაიმართავს. კონფერენციაზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომელიც 5 ოქტომბერამდე დარეგისტრირდება (<https://www.eventbrite.dk/e/t4-world-education-week-tickets...>).

როგორ მოხვდა საჩხერის მ-2 საჯარო სკოლა მსოფლიო კონფერენციის მონაწილეთა სიაში, რა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწია სკოლას და რა თემაზე ისაუბრებენ ქართველი სპიკერები – ამის შესახებ გვსაუბრება სკოლის დირექტორი ლენა გომარტაძე.



– პირველ რიგში, გილოცავთ კონფერენციის მონაწილე სკოლის სტატუსის მოპოვებას. რა გზა გაიარეთ შერჩევის ბოლო ეტაპამდე და რა გამოცდილება უნდა აჩვენოს საჩხერის №2 საჯარო სკოლამ მსოფლიო კოლეგებს?

– დიდ მადლობას გიხდით და გეტყვი, რომ ძალიან საამაყოა, როცა საბოლოო პასუხს იღებ, რომ შენი სკოლა იმ შერჩეული 100 სკოლიდან ერთ-ერთია, რომლებსაც გამოცდილების მსოფლიო მასშტაბით გაზიარების შესაძლებლობა ეძლევათ.

რაც შეეხება კონკურსში ჩართვას, სკოლას საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის გარკვეული გამოცდილება უკვე აქვს, რასაც, თუნდაც, ჩვენი ინგლისურის მასწავლებლის, მაია ტყემალაძის გასულ წელს მიღებული საერთაშორისო აღიარება მოწმობს – საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევასხენებ, რომ მან, გასულ წელს, მსოფლიოს საუკეთესო ინგლისურის მასწავლებლის კონკურსში მეორე ადგილი აიღო. მოკლედ, ჩვენ იმიერზე ხშირად მოგვდის შეტყობინებები კონკურსების შესახებ და სწორედ ასეთი შეტყობინება მოვიდა მსოფლიოს განათლების კვირეულის შესახებაც. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წინასწარ უნდა შეერჩიათ 100 სკოლა. ბუნებრივია, შეტყობინებაში კონკრეტული თემები იყო ჩამოთვლილი, რომელიც შეიძლება სკოლებს წარედგინათ: სასკოლო პროგრამების შექმნა, დასაქმების, მენარქობისა და ცხოვრებისეული უნარების ასაძლევად; ტექნოლოგიების გამოყენება; სწავლა-სწავლების პროცესში მეცნიერების ხელშეწყობა; ოჯახის და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება სასკოლო ცხოვრებაში და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

თუმცა, არჩევანის საშუალებაც გვქონდა, შეგვეძლო, მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, ის თემა წარგვედგინა, რომელშიც ჩავთვლიდით, რომ ექსპერტები ვიყავით. აპლიკაცია საკმაოდ რთულად შესავსები აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ შეზღუდული იყო სიტყვების რაოდენობა. ამიტომ, მოკლედ და მკაფიოდ უნდა ჩაგვეწერა ის ხუთი მიმართულება/საკითხი, რომელიც სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეფასდებოდა.

– ჩამოგვითვალეთ საკითხები, რითაც 8 ოქტომბერს უნდა წარდგეთ ონლაინ კონფერენციაზე.

– პირველი საკითხი და ვფიქრობ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენი სკოლა აკეთებს და მიგვაჩნია, რომ კარგად გა-

მოგვდის, არის უცხო ენის სწავლების გაძლიერება, კერძოდ, ინგლისურის. სკოლამ შექმნა საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებული კურიკულუმი, რომელიც ინგლისურენოვანი ლიტერატურის სწავლებას გულისხმობს. ამის გარდა, სკოლაში ჩამოვყალიბეთ ინგლისურენოვანი დრამის კლუბი, ასევე, ინგლისურენოვანი საჯარო მეტყველებისა და შემოქმედებითი წერის კლუბი. მოკლედ, ფორმალური და არაფორმალური განათლება დავაკავშირეთ ერთმანეთს, რამაც ძალიან შეუწყო ხელი ინგლისურ ენაზე მეტყველების უნარების გაძლიერებას.

მეორე საკითხი პროფესიული სწავლება – როგორ დავინერგეთ სკოლაში, პროფესიულ კოლეგებთან თანამშრომლობით, სხვადასხვა პროფესიული მიმართულებები. მეცხრე-მეთორმეტეკლასელებს სულ შეიძინა მიმართულებით ვასწავლით პროფესიებს. ასევე, ჩვენთან პროფესიულ განათლებას იღებენ საჩხერის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს როგორც მოსამზადებელი, ისე სასერტიფიკატო კურსები, ესენია: დურგლის ხელობა, კულინარიის, კონდიტერის, ექთნის, აიტი ტექნოლოგიების, ელექტროკოსის და დიზაინერის. ამ პროგრამებს, ცხადია, პროფესიულ კოლეგებთან თანამშრომლობით ვაკეთებთ. მართალია, ახლა სამინისტრო გვიფინანსებს, მაგრამ ვიდრე ამ დაფინანსებას მივიღებდით, სკოლამ მანამდე დაიწყო პროფესიული პროგრამების სწავლება. კერძოდ, კულინარიის და დავინყეთ 2016 წელს. ძალიან დიდი ინტერესი მოჰყვა ამ ინიციატივას. სხვათა შორის, ეს მიმართულება მშობლების მოხალისეობრივი ინიციატივების საფუძველზე წამოვიწყეთ – მშობლები ასწავლიდნენ შვილებს კულინარიას. შემდეგ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციისგან გრანტი მოვიპოვეთ. მართლა გასაოცრად კარგი შედეგები მოჰყვა პროფესიული სწავლების შემოტანას სკოლაში. გაიზარდა ბავშვების ინტერესი და მოტივაცია, მშობლების ჩართულობა. შემდეგ, როცა სამინისტრომაც დაიწყო პროფესიული უნარების დანერგვის პროგრამის განხორციელება სკოლებში, ხუთ სკოლასთან გავაფორმეთ მემორანდუმი და ახლა სკოლაში საკმაოდ კარგი პროფესიული პროგრამები გვაქვს. ასე გადავიქციეთ შაბის სკოლის სტატუსის მქონე სკოლად, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს, საჩხერის მუნიციპალიტეტის სხვა სკოლიდან, შეუძლია ჩვენთან პროფესიული განათლებაც მიიღოს.

მესამე მიმართულებად ავიღეთ მშობელთა ჩართულობა – რას გულისხმობს ეს? სკოლაში ჩამოვყალიბეთ „მშობელთა სკოლა“ და მშობლებს ტრენინგები შევთავაზეთ სხვადასხვა თემებზე. თემებსაც, ბუნებრივია, მათი საჭიროებების მიხედვით ვარჩევდით – მშობლებში გამოკითხვას ვატარებდით და მათ საჭიროებებს ვადგენდით. რა თემაც გამოიკვეთებოდა, შემდეგ ამ მიმართულებით ვატარებდით ტრენინგებს. რაც მთავარია, ყველაფერს მხოლოდ ჩვენი ძალებით ვაკეთებდით და არანაირი დაფინანსება არ გვქონდა ამ საქმეში. მიზანი იყო მშობლების უფრო მეტად გაცნობიერება ისეთ საკითხებში, როგორც არის, მაგალითად, ბულინგი, კიბერბულინგი, კონფლიქტები, ძალადობა, ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები და ა.შ. ეს ყველაფერი შემდეგ, უკვე პანდემიის პერიოდში, ვეზინარების სახით გადავიტანეთ.

მეოთხე თემა უშუალოდ მდგრადი განვითარების მიზნებია. 2015 წლიდან ვცდილობდით, სასკოლო კურიკულუმში ისეთი აქტივობები დაგვეწერა, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას შეუწყობდა ხელს – პერიოდულად სხვადასხვა მიზანზე ვმუშაობდით. მაგალითად, 2015 წელს, როდესაც ჩვენ ამ მიმართულებით დავინყეთ მუშაობა, ჩავერთეთ განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ პროგრამაში – „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი“. ერთ-ერთი თემა იყო გენდერი, ასევე ჯანსაღი ცხოვრება და ა.შ. იმდენად დიდ ინტერესს იწვევდა ეს თემები ბავშვებში, რომ საკლუბო ცხოვრებაშიც კი ჩავერთეთ მდგრადი განვითარების მიზნები. შემდეგ „ნიკო კეცხოველის პრემია“ შემოგვეშველა, რომელიც პირდაპირ მდგრადი განვითარების მიზნებზე იყო ორიენტირებული. ამის გარდა, დავინერგეთ პროექტი მდგრადი განვითარების მიზნებზე და სამინისტრომ გამოგვიყო თანხა კონკრეტული აქტივობების განსახორციელებლად, ამას უფრო დიდბიუჯეტისანი (6-ათას ლარიანი) პროექტი მოჰყვა, რომელიც ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაგვიფინანსა. მეორე გრანტი კონკრეტულად გოგონების ჩართულობას გულისხმობდა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში და საბაზო საფეხურზე ჩამოყალიბებული გვქონდა გოგონების კლუბი. აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, ჩავთვალეთ, რომ ამ მიმართულებით მართლაც ბევრი გამოცდილება და აქტივობა დაგვიგროვდა, ამიტომ მეოთხე პუნქტად სწორედ ეს თემა წარვადგინეთ.

მეხუთე და, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სტემის გაძლიერება – როგორ ვუწყობთ ხელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ინჟინერიის გაძლიერებას სკოლაში. აქ, ჩვენ, აქცენტი ისეთ მიმართულებებზე გავაკეთეთ, როგორცაა კლუბური მუშაობა სტემის გასაძლიერებლად – სკოლაში საბუნებისმეტყველო კლუბები ყველა საფეხურზე ჩამოყალიბდა. პანდემიის პერიოდში, ასევე, ოჯახის ექიმის კლუბი და საოჯახო ლაბორატორია ჩამოვყალიბეთ. მიზანი იყო, გვეპოვა ის, რისი კეთებაც პანდემიის პერიოდში ბავშვებს მშობლებთან ერთად შეეძლოთ. დაწყებით საფეხურზე კი, მაინკრაფტის შემსწავლელი კლუბი შევექმნით. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს რობოტიკის კლუბი (რომლის შესაქმნელად 10 000-ლარიანი გრანტი ამერიკის საელჩომ გადმოგვცა), ციფრული დიზაინის, ეკოკლუბი, ახალგაზრდა მეცნიერთა, ასტრონომიის და სახალისო მათემატიკის კლუბები. მოკლედ, მეხუთე საკითხის წარდგენისას, სწორედ ამ კლუბების მუშაობაზე გავაკეთეთ აქცენტი. ფაქტია, ჩვენი ხუთივე მიმართულება ძალიან მოინონეს.

– როგორ გადაამოწმეს, რომ თქვენ ხუთივე მიმართულებით მართლა ექსპერტები ხართ და მსოფლიოს მასშტაბით უნდა გაცნონ თქვენი გამოცდილება კოლეგებს?

– რასაკვირველია, განაცხადის შევსების შემდეგ, ორგანიზატორები დაინტერესდნენ ამით. მეტიც, მათ ისიც აინტერესებდათ, თუ როგორ აისახება ეს ყველაფერი მოსწავლეთა შედეგებზე, კონკრეტული მიღწევებით დაინტერესდნენ. ამიტომ ჩვენ ეს უნდა დავგვესაბუთებინა. მაგალითად, იმის დასადასტურებლად, თუ რატომ ვართ ექსპერტები, ის კონკრეტული მიღწევები ჩამოვთვალეთ, რაც ამ მიმართულებით გვქონდა –



მსოფლიოს განათლების კვირეული

რამდენი მოსწავლე გვყავს ფლექსის პროგრამაში გამარჯვებული, რომელი გრანტები მოიპოვა ინგლისურის კათედრამ;

შემდეგ მსობელთა ჩართულობის კუთხით მიღებული კონკრეტული შედეგები – რა ტრენინგებს ვატარებდით ამ მიმართულებით და რა წარმატება მოგვიტანა ამან, განსაკუთრებით ახალი სკოლის მოდელში; ასევე, პროფესიულმა განათლებამ რა შედეგები მოგვიტანა; როგორ გადაჭრა ისეთი საკითხები, როგორც არის ნაკლებად მოტივირებული მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება, როგორ დაიმსხვრა მამაკაცური პროფესიების გარშემო არსებული სტერეოტიპები, მაგალითად, როგორ ეუფლებოდნენ დურგლის ხელობას გოგონები ან ელექტროინჟინერობასა და აიტი სპეციალობას. ჩვენ ასევე გვქონდა ჩვენი მოსწავლეების საზაფხულო სამუშაოებზე დასაქმების რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, მათ მუშაობა დაიწყეს სასტუმროებში, სასადილოებსა და რესტორნებში. კოლეგები ისეთ სერტიფიკატებს გასცემენ, რომ სამსახურში მათ თავისუფლად იღებდნენ – ჩვენ ამის პრეცედენტები შევქმენით. ამის გარდა, დავასაბუთეთ ისიც, თუ როგორ ვუნყობთ ხელს მდგრადი განვითარების მიზნების დაწესებას სკოლაში, მაგალითად, ეზოს გამწვანებით, გოგონების გაძლიერებით და ა.შ. აი, ეს ყველაფერი დავუსაბუთეთ. ცხადია, მოეწონათ. შემდეგი ეტაპისთვის ამ ყველაფრის ფოტომასალა მოითხოვეს. ბუნებრივია, ეს ფოტომასალა გვქონდა და გავაგზავნეთ. ასევე, წინასწარ მო-

ითხოვეს, წარგვედგინა ვინ იქნებოდა კვირეულის ფარგლებში სპიკერი, ის მოკლე ტექსტიც კი, როგორ იქნება დირექტორის მისალმება – როგორ წარადგენს თავის სკოლას. მხოლოდ ამის შემდეგ დაგვიდასტურებდნენ საბოლოო პასუხს, მოხვდა თუ არა ჩვენი სკოლა კონფერენციის მონაწილე სკოლების სიაში.

ორგანიზატორებმა მესამე ეტაპზე გაგზავნილი დოკუმენტაციაც ძალიან მოიწონეს და 1 სექტემბერს საბოლოოდ გამოაცხადეს, რომ ჩვენ ვართ იმ სკოლებს შორის, რომლებიც მსოფლიო სკოლებს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ჩვენი სკოლა პრეზენტაციას 8 ოქტომბერს გააკეთებს, ჩვენი დროით ოთხ საათზე. წარდგენილი გვყავს ასევე ის ადამიანი, ვისაც ტექნიკურად გადაამზადებენ ონლაინ, ჩაუტარებენ ტრენინგს, როგორ წარმართოს ჩვენი პრეზენტაცია.

ახლა 8 ოქტომბრისთვის ვემზადებით – ხუთი მიმართულება უნდა წარგვადგინოთ და ვისაუბროთ მოსწავლეებთან, მსობელთან ერთად და მსოფლიოს ვანახოთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენ მიერ შერჩეული მიმართულება მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, კონკრეტულად კი, ხარისხიანი ხელმისაწვდომი განათლებისთვის, რაც ამ კონფერენციის მთავარი მიზანია.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ გახსნილია რეგისტრაციის ღირსი და, მინიმუმ, 1000 ადამიანი უნდა დარეგისტრირდეს ჩვენს პრეზენტაციაზე – ეს ერთგვარი პირობაც კი იყო. ამიტომ, ჩვენ ვაპირებთ გავაკეთოთ ოფიციალური წარდგენა და ამ ღონისძიებით გვიწინა ვამცნოთ ჩვენს გულშემოტკივრებს, რომ დარეგისტრირდნენ 8 ოქტომბრამდე ჩვენი სკოლის პრეზენტაციაზე, რადგან ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა.

– დაბოლოს, თქვენ ძალიან ბევრ პროექტსა და აქტივობაზე ისაუბრეთ, რომლებსაც სკოლაში ახორციელებთ. ეს ყველაფერი კი, თვალნათელს ხდის სკოლაში შექმნილ თანამშრომლობით კულტურას და იქ ჩამოყალიბებულ გუნდურ გარემოს. რას გვეტყვით თქვენი გუნდის შესახებ?

– ყოველთვის მეკითხებიან, რას ნიშნავს კარგი ლიდერი? მეც ყოველთვის ვპასუხობ, რომ კარგი ლიდერი იმას ნიშნავს, რომ მას სკოლის შიგნით ჰყავს ლიდერები. აი, ასეთები არიან ჩემი სკოლის მასწავლებლები. ინიციატივაც, უფრო ხშირად, მათგან მოდის ხოლმე, ვიდრე ჩემგან. მეც ყოველთვის ხელს ვუწყო მათ ინიციატივებს და ვცდილობ, განავითარო და, ჩემი ხელშეწყობით, კიდევ უფრო უკეთესი გახადონ. ასე რომ, კლუბური მუშაობა, პროექტი თუ სხვა აქტივობა, ყველაფერს ერთად ვაკეთებთ. როცა ვინცერთ რომელიმე პროგრამის/პროექტის განხორციელებას, პირველ რიგში, ვქმნით გუნდს, რომელიც უშუალოდ ამ მიმართულებაზე იმუშავებს. ძალიან კარგად მაქვს შესწავლილი ჩემი კოლეგების შესაძლებლობები და უნარები, ასე ვთქვათ, სკოლის ადამიანურ რესურსს კარგად ვიცნობ. ვიცი, კონკრეტულ ნამოწყებას რომელი კონკრეტული მასწავლებელი გაართმევს თავს, ვის აქვს ამ მიმართულებით ნამუშევარი და ა.შ. მთელი სკოლა ჩართულია პროექტებში იმ შესაძლებლობების მიხედვით, რაც თითოეულ მასწავლებელს და იმ 670 მოსწავლეს აქვს, რომელიც სკოლაში სწავლობს. აქედან გამომდინარე, გუნდური მუშაობით შედეგებიც არ აყოვნებს. ერთად ყველაფერი კარგად გამოგვდის.

ინფორმაცია

პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა ერთიანი პროფესიული ტესტირება დასრულდა

ტესტირების მიმდინარეობას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი სოფო გორგოძე კოლეჯში „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ განთავსებულ საგამოცდო ცენტრში აკვირდებოდნენ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია 20 მაისს დაიწყო და 10 აგვისტომდე გაგრძელდა. 2020 წლის საშემოდგომო მიღებაზე 14 400-ზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრირდა. მათგან 12 000-ზე მეტმა აპლიკანტმა გაიარა ტესტირება, დანარჩენები კი კოლეჯის/უნივერსიტეტის შიდა შერჩევებში მონაწილეობდნენ. შიდა შერჩევები იმ პროფესიულ პროგრამებზე განხორციელდა, სადაც რეგისტრანტთა რაოდენობა არ აღემატებოდა თავი-

სუფალი ადგილების რაოდენობას.

5 და 6 სექტემბერს საქართველოს ყველა რეგიონში 59 საგამოცდო ცენტრი იყო გახსნილი და ყველა მათგანი სრულად აკმაყოფილებდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებს. ერთიან პროფესიულ ტესტირებამდე 1 დღით ადრე კი ყველა აპლიკანტს ჰქონდა შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში, სახლიდან გაუსვლელად გაეცნო საცდელი ტესტირება და გასცნობოდა ტესტირების ფორმატს.

წელს პირველად, პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის წესში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვა ორი ფორმით ხორციელდება.

იმ პროფესიულ პროგრამებზე, სადაც დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა არ აჭარბებს ადგილების რაოდენობას, აპლიკანტები აღარ გადიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას და მხოლოდ კოლეჯში/უნივერსიტეტში ორგანიზებულ შიდა შერჩევებში მონაწილეობენ.

პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, შიდა შერჩევის მეთოდი განსხვავებულია. უმეტეს შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები შიდა შერჩევისას ისეთ მეთოდებს იყენებენ, როგორცაა: გასაუბრება, პროფესიის მოსინჯვა, პორტფოლიო და სხვა.

იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები წელს პირველად ატარებენ შიდა შერჩევას, თამარ ქიტიაშვილი და სოფო გორგოძე უშუალოდ ადგილებზე აკვირდებოდნენ პროცესის მიმდინარეობას.



COVID-19-ის პანდემიის ფარგლებში მშობლების მხარდაჭერის ახალი პროექტი დაიწყო

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული იზოლაციით გამოწვეული ფსიქოლოგიური ზიანის შემცირება და მშობლებსა და ბავშვებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება – ამ თემას ეხება გაეროს ბავშვთა ფონდისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ ახალი ინიციატივა.

პროექტი მიზნად ისახავს მშობლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომლებიც დაეხმარება მათ, გააუმჯობესონ შეილებთან კომუნიკაცია და დაეხმარონ კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული სტრესის დაძლევაში.

პროექტის ფარგლებში, სოციალურ ქსელებში არსებულ მშობელთა ჯგუფებსა და ფორუმებში, გაიმართება ონლაინ დისკუსიები. მშობლების მიერ გამოვლენილი პრობლემური საკითხების საპასუხოდა, სპეციალისტები ელექტრონულ რეკომენდაციებს მოამზადებენ. ბავშვთა ფსიქოლოგები ჩაატარებენ ვებინარებს თემაზე – მშობლებისა და შვილების კომუნიკაცია სტრესულ გარემოში; ინ-

ტერნეტ უსაფრთხოების სპეციალისტები კი, ინტერაქციულ ვებინარზე, ონლაინ სივრცეში ბავშვთა უსაფრთხოების საკითხებს განიხილავენ. ვებინარებზე დაყრდნობით, მომზადდება საინფორმაციო მასალა, მათ შორის, ვიდეო ბლოგები, რომლებიც სოციალურ ქსელ ფეისბუქში არსებულ მშობელთა ჯგუფებსა და გვერდებზე გავრცელდება.

ოთხთვიანი პროექტის ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობებში ჩართულები იქნებიან როგორც დედები, ასევე მამები.

კორონავირუსის პანდემიის გამო ბავშვებისა და მათი მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი უდიდესი გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდა. იზოლაციის პირობებში, მაღალი სტრესის ფონზე, მშობლებმა ბალის აღმზრდელებისა და სკოლის პედაგოგების როლები მოირგეს. დროის დეფიციტის, გაზრდილი პასუხისმგებლობების თუ სხვა პრობლემების გამო, მშობელთა ნაწილი ამ გამოწვევას წარმატებით ვერ გაუმკლავდა.

პანდემიის პერიოდში სახლებში ჩაკეტილი

ბავშვები კიდევ უფრო დამოკიდებული გახდნენ ინტერნეტ თამაშებსა და სოციალურ ქსელებზე, რასაც მშობლებსა და შვილებს შორის კომუნიკაციის გაართულება, კონფლიქ-

ტების გახშირება და ურთიერთობების გაუარესება მოჰყვა. ასევე, გაიზარდა ონლაინ სივრცეში ბავშვთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.



საუბრაბი ლიტერატურაზე

მზის შუქის მაგიერადა,
შუქი გვაქვს სანთლებისაო,
საჭმელად სეფისკვერი გვაქვს,
სამზეით მოვედიდასაო,
სასმელად ცივი წყაროი,
კანკარით ვადმოდიდასაო,
წყალს უწყვეტ ოქროს მიღები,
ქალ-რძალ დიბანს პირსაო,
დაინვა ჩემი ცოდვითა
კარები შავეთისაო,
რო დაუმარხავ გაგნირე
მაძვე, სამოცი წლისაო.“

ოში დარჩენილთა მიერ მათი სულელებისათვის დანთებული სანთლების შუქი უნათებს მათ, საჭმელად სეფისკვერი აქვთ, ხოლო ანკარა წყარო ოქროს მიღებით მოედინება. აღნიშნულ სიზმარში აღნიშნული სამყარო გვაფიქრებინებს, რომ ფოლკლორისტიკა აღიარებს მიცვალებულთა სიზმრებს ან უკეთ რომ ვთქვათ, ასტრალური სულის მიერ ცოცხალთათვის მოგვიჩვენებს სიზმრებს, როგორც ამას მრავალი მეცნიერი ასკვნის.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

ქაითყან ქათამაძე
ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორანტი

1. „გილგამეშინის“ მოკლე შინაარსი ასეთია : ურუქის მეფე გილგამეში, ღმერთკაცი, და ენიქიდე, ნახევრად ცხოველი და ნაწილობრივ

ამ ლექსის მიხედვით, ლევანი დაილუბა და წიფლის ხის ძირასაა მისი ცხედარი, თოვლით დაფარულ ადგილას და 60 წლის მამას სიზმრის დახმარებით სთხოვს, რომ მოძებნოს მისი ნეშტი. საკუთარ თავს იგი მეშვეთეს უწოდებს, რადგან მზის შუქს მოკლებულია შავეთის კარი, მხოლოდ სააქა-

სასერტიფიკაციო გამოცდა, თუ...?!

თავსაზრისი


გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ხელისუფლებამ, განათლების სამინისტრომ და უმაღლესმა სასწავლებლებმა ფიზიკას, როგორც სასწავლო საგანს, დაუკარგეს ყოველგვარი ღირებულება, მნიშვნელობა და ფუნქცია. დღეისათვის, სასკოლო საგანსავე დარჩენილია, ფიზიკამ მიიღო უარყოფილი, ფორმალური საგნის ხასიათი /მიზეზზე საუბარს აღარ შეუვადებები/. შედეგად აღარ დააყოვნა არა მარტო სკოლებში, არამედ ზედა ემელონებშიც.

წლებია, რაც უმაღლესმა სასწავლებლებმა ფიზიკის ფაკულტეტები გააუქმეს. თუ სადმე შემორჩა, აღარც კომპლექტი ფიზიკით, მიუხედავად გარკვეული საშუალო პირობებისა – ფიზიკის ფაკულტეტზე უგამოცდო ჩარიცხვა; სწავლის საფასურისგან გათავისუფლება.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ფიზიკის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა რთულია, სხვა საგნების სასერტიფიკაციო გამოცდებისგან განსხვავებით. და ეს სირთულე იმდენად შესამჩნევია, რომ დასაბუთება დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს. მაგალითად:

1. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების დაწყებიდან დღემდე, ყველა საგნის ტესტების სავარაუდო პასუხთა რიცხვია ოთხი. გამონაკლისია ფიზიკა, რომლის სავარაუდო პასუხთა რიცხვია ხუთი. ხუთი როგორც განსხვავდება ოთხისგან, ასევე ხუთპასუხიანი ტესტი რთულია ოთხპასუხიანი ტესტთან შედარებით.
2. არც ერთი სასერტიფიკაციო საგნის ტესტების რაოდენობა არ აღემატება ორმოცს, ფიზიკაში კი – ორმოცდასამა.
3. დასავრთველი მაქსიმალური ქულაა 70. უპრინაია, შედარება გავაკეთოთ მათემატიკასთან. დიხს, მათემატიკაში, სერტიფიცირება ხდება VII-XII კლასებისთვის, ხოლო ფიზიკაში – VIII-XI კლასებისთვის.

მათემატიკა ექვსკლასიანია, 27-საათიანი კვირეული დატვირთვით, ტესტების რაოდენობა – 40, მაქსიმალური ქულა – 52, ტესტის სავარაუდო პასუხი – 4; **ფიზიკა** ოთხკლასიანია, 9-საათიანი კვირეული დატვირთვით, ტესტების რაოდენობა – 43, მაქსიმალური ქულა – 70, ტესტის სავარაუდო პასუხი – 5. 4. ფიზიკის სასერტიფიკაციო გამოცდაზე, სხვა საგნებთან შედარებით, არის ბევრი არაარაბრტული ტესტი, რის დასაბუთებასაც აქ აღარ შეუვადებები, უბრალოდ დაინტერესებულ პირებს ვურჩევ, შევადაროთ 2019 წლის მათემატიკისა



სასერტიფიკაციო გამოცდას შედეგების გამოცხადებისას, ყველა დაბალი მაჩვენებელი იქნება, ვინაიდან სასერტიფიკაციო გამოცდის გართულება შედეგებში ნამდვილად არ არის. ეს მდგომარეობა ვერ შეაყვარებს მოსწავლეებს ფიზიკას, ვერ აღადგენს და ვერ გადააყვარებს ფიზიკის ფაკულტეტებს სტუდენტებით. გარკვეულწილად, ვეფქტიანი იქნება, ტესტებზე მომუშავე კომისიამ დადგინილი სტანდარტებით იხელმძღვანელოს:

1. შეამციროს სავარაუდო პასუხების რიცხვი 4-მდე;
2. ტესტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 40-ს;
3. მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა არ აღემატებოდეს 52-ს;
4. ტესტში შეტანილ იქნეს სტანდარტული ამოცანები.

და ფიზიკის ტესტები. ვეფქრობ, ფიზიკის საგამოცდო ტესტების მრავალმხრივი გართულება შემთხვევითი მოვლენა არ არის. ეს არის მიზანმიმართული ქმედება, ხელისუფლებისა და მათი შტოების მიერ, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ფიზიკის მიმართ ჩადენილი არასწორი, დამაზიანებელი ქმედებების დაფარვისა და ყველაფრის მასწავლებლებზე გადაბრალების მცდელობა.

სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების გამოქვეყნებისას, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიზიკაზე მოდის და ამას ურცხვად უსმენენ, ხედავენ და იმეორებენ, ზემოთ დასახელებულს სამივე შტოს წარმომადგენლები. მათ შორის, ყველაზე ცუდი, რაც ხდება, არის ის, რომ მოსწავლეები იგებენ მასწავლებლების წარუმატებლობას და კიდევ უფრო იძულებენ ისედაც უარყოფილ და არარაობად ქცეულ საგანს.

ვფიქრობ, გამოსავალი სასერტიფიკაციო გამოცდის გართულებაში და ამით მიღებულ შედეგებში ნამდვილად არ არის. ეს მდგომარეობა ვერ შეაყვარებს მოსწავლეებს ფიზიკას, ვერ აღადგენს და ვერ გადააყვარებს ფიზიკის ფაკულტეტებს სტუდენტებით. გარკვეულწილად, ვეფქტიანი იქნება, ტესტებზე მომუშავე კომისიამ დადგინილი სტანდარტებით იხელმძღვანელოს:

1. შეამციროს სავარაუდო პასუხების რიცხვი 4-მდე;
2. ტესტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 40-ს;
3. მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა არ აღემატებოდეს 52-ს;
4. ტესტში შეტანილ იქნეს სტანდარტული ამოცანები.

დამურ კახალიშვილი
ზუგდიდი, ჩხორის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

სვლილბა კანონში

სასკოლო ექსპურსიების წესები მკაცრდება

პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც სასკოლო ღონისძიებების დროს სკოლის მოსწავლეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებით უსაფრთხო გადაყვანის საკითხს არეგულირებს. წესების დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგინილი წესით პასუხისმგებლობა, რომელიც უკვე დაეგზავნა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად, დეტალურად განისაზღვრება სკოლის მიერ ორგანიზებული სასკოლო ღონისძიებების დროს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაყვანის წესები. კერძოდ:

- ✓ ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომელიც სკოლის მიერ ორგანიზებული ღონისძიებისას უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეების გადაყვანას, ვალდებული იქნება, იქონიოს ცნობა ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების შესახებ, რომლის გაცემის თარიღსა და სკოლის მოსწავლეთა გადაყვანის თარიღს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს;
- ✓ ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს შიდა და გარე ხედვის კამერებით, ცეცხლმაქრითა და პირველადი დახმარების ჩანთით. ამასთან, ავტოსატრანსპორტო საშუალების თითოეული სავარძელი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების ღვედით;
- ✓ მგზავრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ქარხნული წესით დადგინილი სა-

ვარძლების რაოდენობას;

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო ღონისძიების მარშრუტი აღემატება 500 კილომეტრს, ძირითად მძღოლს თან უნდა ახლდეს სათადარიგო მძღოლი. ამასთან, როგორც ძირითად, ისე სათადარიგო მძღოლს შესაბამისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის მართვის უფლება მოპოვებული უნდა ჰქონდეს სკოლის მოსწავლეთა გადაყვანის თარიღამდე, არანაკლებ, 5 წლით ადრე;
- ✓ მძღოლი ვალდებული იქნება, სკოლის მოსწავლეთა გადაყვანისას, წარმოადგინოს ნარკოლოგიური შემონემების ცნობა.

კანონპროექტის ინიციატორები იმედოვნებენ, ცვლილებების მიღების შემთხვევაში, მაქსიმალურად შემცირდება სასკოლო ღონისძიებებისას სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების დროს უბედური შემთხვევების რისკი.

საკანონმდებლო ნორმების დარღვევისთვის გათვალისწინებულია ჯარიმები. კერძოდ, ცვლილებებით, სკოლის მიერ ორგანიზებული ღონისძიებისას მოსწავლეთა უსაფრთხო გადაყვანის წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, განმეორებით ჩადენის შემთხვევაში – 400 ლარის ოდენობით.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ცვლილებებმა შესაძლოა გარკვეული დამატებითი ფინანსური ხარჯი გამოიწვიოს კერძო სკოლებისთვის და ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლების ან კომპანიებისთვის, რომლებიც აღნიშნულ მომსახურებას გასცემენ – მძღოლს შესაბამისი საფასურის გადახდა მოუწვევს ნარკოლოგიური შემონემების ცნობის აღები-



სას; ვინაიდან ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს შიდა და გარე ხედვის კამერებით, ცეცხლმაქრით და პირველადი დახმარების ჩანთით, ამასთანავე, სატრანსპორტო საშუალების თითოეულ სავარძელს უსაფრთხოების ღვედი უნდა ჰქონდეს, ესეც დამატებით ხარჯს მოითხოვს, როგორც ტექნიკური დათვალიერების გავლა.

კანონპროექტმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოსცკერძო სკოლების ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ, თუ ამ კანონპროექტით დადგინილი წესით აღჭურვილი ავტოსატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა გაძვირდება, მაშინ კერძო სკოლებს თავიანთი შემოსავლებიდან მოუწვევთ დამატებითი ხარჯის განწევა მათი დაქირავებისას.

ყოფაქცევის კულტურა

ეთიკის გაცხადი და სკოლაში



ლიანა ბელინაძე



დღეს, მუდმივი სწავლისა და განვითარების გარდა, მაღალი პროფესიონალიზმის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია სოციალური ცვლილებებისა და ცოდნის ზრდის სწრაფი ტემპისთვის ფუნქციონირება, რამაც უდავოდ დიდი გავლენა იქონია მასწავლებლის პროფესიულ როლზე. ასეთ სწრაფად ცვლილებად სამყაროს, მომავალში, ადვილად რომ მოვევროთ, უფრო კომპლექსური, შემოქმედებითი, პრაქტიკული და მოქნილები უნდა ვიყოთ, რათა ახალი სიტუაციებში რთული პრობლემების ახლებურად გადაჭრის გზების პოვნა არ გავიჭიროდეს.

მოსწავლე საზოგადოებისთვის მისაღებ პიროვნებად რომ ჩამოყალიბდეს, სკოლაში, ეტაპობრივად, სწავლებასთან ერთად, მის აღზრდა-განვითარებას ყოფაქცევის კულტურის გათავისება და ზნეობრიობის ფორმირება უნდა დაეძღვოს. სწავლება, ბავშვები, რომლებიც სკოლაში მოდიან, განსხვავებულები არიან თავიანთი ინდივიდუალობით, გრძობებით, ურთიერთობებით, ღირებულებებითა და სულიერი წონასწორობით. განსხვავებულნი არა მარტო გარეგნობით, არამედ აღზრდის პრინციპებითაც, ვინაიდან ისინი სხვადასხვა გარემოდან, ოჯახებიდან მოდიან. ვიცით, რომ აღზრდა ადამიანის შეცვლას გულისხმობს, ადრე თუ გვიან, ნებისმიერი ადამიანი შეიცვლება, თუკი მას სიყვარულით, მოთმინებით და მრავალფეროვანი მცდელობებით შევასრულოთ ქცევის ნორმებს (ეტიკეტს), მივიღებთ დახვეწილ, საზოგადოებისათვის მისაღებ პიროვნებას. სწორედ ამიტომ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღზრდის საკითხებს გარკვეული ადგილი უკავია.

დამრიგებელი, კლასის საათზე, უნდა ახერხებდეს, მოსწავლეებს გააზრებულად მიანიშნოს ცნება მოქალაქეობა, ესაუბროს ქცევის კულტურისა და იმ უფლება-მოვალეობების შესახებ, რომელიც ადამიანთა ისეთ საერთო ღირებულებებს ეფუძნება, როგორცაა: შემწყნარებლობა, პატივისცემა, თანადრობა, პასუხისმგებლობა, მეგობრობა, ტოლერანტობა და ა.შ.

მოსწავლეთა კულტურული და მორალური ფორმირების მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მიზნით შეიქმნა დამსახურებული პედაგოგის, **ლიანა ბელინაძის** ნაშრომი **«ყოფაქცევის კულტურა»**, რომელიც ეყრდნობა ლოზუნგს კოლმეტიკისა და დიმიტრი უზნაძის პრინციპებს, თეორიისა და რაწმინდების მინიკონკრეტული მორალური დონის სტადიას, სადაც მორალური მეფასება საკუთრივ ინდივიდშია. ნაშრომი მოიცავს წიგნიერების, სოციალურ-მოქალაქეობრივი და ეთიკური წიგნიერებისა და სემიოტიკური წიგნიერების კომპლექტს, სტანდარტთან შესაბამისობაში, დაწყებითი კლასებში. მისი გამოყენების მნიშვნელოვანი პირობაა, მოზარდებს მისცეს არა მხოლოდ ცოდნა ზნეობის შესახებ, არამედ ღირებულად აქციოს ისინი. მოცემული მასალა ეხმარება მოსწავლეს, დაწყებითი საფეხურიდანვე, ეზიაროს ეთიკური ღირებულებებს როგორც საკუთარი თავის, ოჯახის, საზოგადოების, ისე ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. კლასის საათზე წიგნთან მუშაობა მოსწავლეს უბიძგებს, საკუთარი მოსაზრება, მოცემული თემების ირგვლივ, გამოხატოს წერილობით, ხატვით, კითხვებზე პასუხით, როლური თამაშით, მსჯელობით დისპუტებზე, შეხვედრებზე, პრეზენტაციებზე და ა.შ. სწავლების მეთოდები, რომლებიც მოსწავლის აღზრდისკენა მიმართული, ეხმარება მას, ისწავლოს რა არის ადამიანის ღირსების საზომი, რა არის ყოფიერება, რა ნებისა და ნორმებს ემყარება ადამიანთა ცხოვრების წესი, რა საერთო ღირებულებებს ეფუძნება მათი არსებობა ბუნებაში.

«ყოფაქცევის კულტურაში», ზნეობრივი ფორმირებისათვის, დაწყებითი საფეხურიდანვე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიწოდებული მასალა – პრაქტიკული საყარჯიშოები, აქტივობები, რომელიც გარკვეული დონით, ასაკობრივ განვითარებასთან შესაბამისობაშია, მოზარდებს საშუალებას აძლევს, შეიცნონ საკუთარი თავი,

ისწავლონ «მე“-ს მართვა.

არსებობს ერთი სიტყვა, რომელიც პედაგოგიკაში განუხადრელებელი უფლებით სარგებლობს, ეს არის სიტყვა «უნდა». მასწავლებელმა – «უნდა აუხსნას», «უნდა მათაგონოს», «უნდა შეაფასოს», «უნდა გამოიყენოს», «უნდა აღზარდოს» და სხვ. მაგრამ პედაგოგიკის თეორიაში, ზოგჯერ, არ არის პასუხი იმაზე, თუ როგორ და რა გზით, რა საშუალებებით აკეთოს მასწავლებელმა ესა თუ ის საქმე. ნარმოდგენილი სახელმძღვანელოები – «ყოფაქცევის კულტურა» (სამ დონედ) – «უნდას» განხორციელებაში პატარა წვლილის შეტანის მცდელობაა, რომელიც ეფუძნება პედაგოგიკის თეორიაში ცნობილ დებულებას, რომ მიზნის მიღწევა მხოლოდ ბავშვებთან ცოცხალი ურთიერთობით, კომპლექსური მიდგომით, სიყვარულით, თანამშრომლობითა და პრაქტიკული საქმიანობითაა შესაძლებელი.

სახელმძღვანელოში 33 სასაუბრო თემაა მოცემული, რომელიც აცნობს ზოგადად კულტურის ცნებას, ეტიკეტსა და ზნეობრიობის ისეთ კატეგორიებს, როგორცაა: სიკეთე და ბოროტება, სინდისი და პატიოსნება, მტრობა და მეგობრობა, შური და ძალადობა... ასწავლის ქცევის წესებს: საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სუფრასთან, ოჯახში, ტრანსპორტში... უხსნის, თუ რას ნიშნავს დელიკატურობა, ჩაცმის კულტურა, კარგი და ცუდი მანერები, ურთიერთობის კულტურა; უღივებს პატრიოტულ სულისკვეთებას, ასწავლის დედაშვილურ დამოკიდებულებას, უფროსებისადმი პატივისცემას, შრომის სიყვარულს, გმირობასა და სხვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. ყველა თემის/გაკვეთილს ახლავს გამორჩეული ადამიანთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბრძნული გამოხატუებები, მოსაზრებები, რომლებიც უშუალოდ აღზრდის თემასთანაა დაკავშირებული, უზადაა ამონარიდები ბავშვთა საყოველთაო კონვენციიდან.

წიგნის მიზანი:

- ➔ მოსწავლეთა ფორმირება ეთიკური ნორმის ფარგლებში;
- ➔ ქცევის წესების გაცნობა და შესწავლა;
- ➔ სამოქალაქო ეტიკეტის მნიშვნელობის გათავისება და შესწავლა;
- ➔ მოსწავლეთა აღზრდა კულტურულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით.

საოცანები:

- ➔ ზნეობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- ➔ კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ➔ პიროვნულ სოციალური ფასეულობების ჩამოყალიბება;
- ➔ თვითაღზრდისა და თვითკონტროლის გაცნობიერება.



წიგნის შესაქონელ დაგვიკავშირდით: ასოციაცია მტოდნელი – სიასლეთა კვლევის ცენტრი
 მისამართი: **ბაქოს ქუჩა №1 (24-ე საჯარო სკოლის ეზოში), თბილისი**
 ტელეფონი: **599 400 021, 557 272 472**
 ელფოსტა: **infomtsodneli@gmail.com** ვებგვერდი: **www.mtsodneli.com**
 ვიზიტუალური: **https://www.facebook.com/mtsodneli**

